სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N11
(ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი)

ქ. ბათუმი 16 თებერვალი, 2021 წელი

ერთი მხრივ **სსიპ „აჭარის მუზეუმი“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი **დირექტორის თეონა ზოიძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ბესო“** (ს/კ 445447678) (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის - აბდულ მახარაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სსიპ აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველის მოადგილის ზურაბ ვარშანიძის 2021 წლის 16 თებერვლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია – სსიპ აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისთვის სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონლის მიწოდება:

CPV19640000 - ტომრები;

CPV30199410 - ქაღალდი;

CPV39541100 - თოკები;

CPV44424200 - საიზოლაციო ლენტები.

2.2. კონკრეტული საქონლის დასახელება, სახეობა, ზომის ერთეული, ღირებულება და რაოდენობა განისაზღვრება ფასების ცხრილით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **481,00 (ოთხას ოთხმოცდაერთი) ლარს და 90 თეთრს.**

CPV19640000 - ტომრები - 425 ლარი;

CPV30199410 - ქაღალდი - 15 ლარი;

CPV39541100 - თოკები - 19.50 ლარი;

CPV44424200 - საიზოლაციო ლენტები - 22,40 ლარი.

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ფასების ცხრილით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს 2021 წლის 20 თებერვლამდე.

4.2 მიწოდების ადგილია ქალაქი ბათუმი, პუშკინის ქ. N72.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სასაქონლო ზედნადების გადაგზავნის ან/და მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების მიხედვით საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 დღის ვადაში.

7. გარანტია

7.1 მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტი.
8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად.
8.4. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.2. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.3. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:		**მიმწოდებელი:**
სსიპ "აჭარის მუზეუმი"		შპს „ბესო“
მის: ქ. ბათუმი, ხარიტონ ახვლედიანის ქ. #4		მისამართი: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. 72
ბ/კ TRESGE22		ბ/კ LBRGE22
სახაზინო კოდი: 05131105		ა/ნGE80LB0113166351150000
ს/კ 245 769 271		ს/კ 445447678
ბანკის დასახელება:		ბანკის დასახელება:
სახელმწიფო ხაზინა		სს "ლიბერთი ბანკი"
დირექტორი თეონა ზოიძე		დირექტორი აბდულ მახარაძე

დანართი N1

ფორმა #3

#	დასახელება	CPV კოდი	ზომის ერთეული	რაოდ ენობა	ერთ. ფასი /ლ/	საერთო ღირებ.
1	ტომარა 100*150	19640000	ცალი	25	1.70	425,00
2	სკოჩი 250მ	44424200	ცალი	5	4,00	20,00
3	სკოჩი მწვანე 23მ	44424200	ცალი	12	0,20	2,40
4	თერმული ქაღალდი	30199410	ცალი	5	3,00	15,00
5	თოკი	39541100	კგ	1.62	12,00	19,50
სულ: 481,90 ლარი (ოთხას ოთხმოცდაერთი ლარი და 90 თეთრი)						

გამცემი:

შპს „ბესო"

დირექტორი აბდულ მახარაძე _____

მიმღები:

სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორი

თეონა ზოიძე _____

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - AJARA MUSEUM
245769271

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი

16 თებერვალი, 2021 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ „აჭარის მუზეუმი“-ს მიერ შპს „ბესოსთან“ (ს.კ. 445447678) 2021 წლის 16 თებერვალს დადებული N11 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი /თ. ზოიძე/

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის

მმართველის მოადგილე /ზ. ვარშანიძე/